

## ხარისხის ინდიკატორები

### სფერო 1: ინფექციის კონტროლი

**ინდიკატორი 1.1:** ექთნების %, რომელიც ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთან ნებისმიერი კონტაქტის შემთხვევაში იყენებს რესპირატორს დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით.

#### ინდიკატორის აღწერილობა:

ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთან ნებისმიერი კონტაქტისას ყველა ექთანი (100%) უნდა იყენებდეს რესპირატორს დადგენილი ინსტრუქციის მიხედვით. ინდიკატორი აფასებს სამედიცინო პერსონალის მიერ ინფექციის კონტროლის მიზნით ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენების პრაქტიკას და მიუთითებს, რამდენად მაღალია პაციენტიდან სამედიცინო პერსონალზე ინფექციის ტრანსმისიის რისკი. ინდიკატორი აფასებს შუალედურ გამოსავალს. (Output indicator).

#### დაანგარიშების წესი

**მრიცხველი:** ექთნების რაოდენობა, რომლებიც ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთან ნებისმიერი კონტაქტის შემთხვევაში იყენებს სპეციალურ რესპირატორს დადგენილი წესის შესაბამისად.

**მნიშვნელი:** სულ მოცემულ დაწესებულებაში მომუშავე მედდების რაოდენობა, რომელიც ჩართულნი არიან ტუბერკულოზის მართვაში.

#### მონაცემთა წყარო და შეგროვების მეთოდიკა:

აღნიშნული მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს დაწესებულების მენეჯერის მიერ ყოველკვირეული დაკვირვების შედეგად.

#### შეგროვების პერიოდულობა:

აღნიშნული მონაცემები უნდა შეგროვდეს ყოველთვიურად.

**ინდიკატორი 1.2:** სამედიცინო პერსონალის რაოდენობა/%, რომელსაც საანგარიშო პერიოდში დაუდასტურდა ტუბერკულოზის დიაგნოზი, მ.შ. ექთნები.

**ინდიკატორის აღწერილობა:**

**მრიცხველი:** სამედიცინო პერსონალის (ექიმები, მედდები, სანიტრები, დაწესებულების ადმინისტრაციაში დასაქმებული პირები) რაოდენობა, რომელსაც საანგარიშო პერიოდში დაუდასტურდა ტუბერკულოზის დიაგნოზი.

**მნიშვნელი:** სულ მოცემულ დაწესებულებაში მომუშავე სამედიცინო პერსონალის (ექიმები, მედდები, სანიტრები, დაწესებულების ადმინისტრაციაში დასაქმებული პირები) რაოდენობა.

შენიშვნა: აქვე ცალკე უნდა იქნას მითითებული მედდების რაოდენობა და მათში ტუბერკულოზის დიაგნოზის დადსტურებული შემთხვევები.

**მონაცემთა წყარო და შეგროვების მეთოდიკა:**

აღნიშნული მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს დაწესებულების მენეჯერის მიერ ყოველკვირეული დაკვირვების შედეგად.

**შეგროვების პერიოდულობა:**

აღნიშნული მონაცემები უნდა შეგროვდეს ყოველთვიურად.

## სფერო 2: უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობა

**ინდიკატორი 2.1:** რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების %, რომელიც კონკრეტულ დაწესებულებაში ასრულებს DOT ვიზიტს ექთანთან, სულ მცირე, კვირაში 6-ჯერ.

### ინდიკატორის აღწერილობა:

**მრიცხველი:** რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების რაოდენობა, რომლებიც მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში ასრულებენ DOT ვიზიტს ექთანთან, სულ მცირე, კვირაში 6-ჯერ.

**მნიშვნელი:** მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში სულ მკურნალობაზე მყოფი რეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების რაოდენობა.

### მონაცემთა წყარო და შეგროვების მეთოდика:

აღნიშნული მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს მულტირეზისტენტული ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების DOT-ის ბარათიდან. სადაც მითითებულია მედიკამენტების სახელწოდება და წამლების მიღების განრიგი. DOT ბარათი ივსება ყველა რეზისტენტული ფორმით დაავადებულ პაციენტზე, ყოველდღიურად.

**შენიშვნა:** აღნიშნული ინდიკატორის გამოსათვლელად გამოიყენება მულტირეზისტენტული, ექსტენსიური და პოლირეზისტენტული ფორმით დაავადებულები პაციენტები. DOT -ის ვიზიტის შესრულებაში იგულისხმება ყველა წამლის მიღება. შესაბამისად თუ პაციენტები რომელიმე წამალს არ იღებენ შერჩევითად ის ვერ მოხვდება მრიცხველში.

### შეგროვების პერიოდულობა:

აღნიშნული მონაცემები უნდა შეგროვდეს ყოველთვიურად.

**ინდიკატორი 2.2:** სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების %, რომელიც კონკრეტულ დაწესებულებაში ასრულებს DOT ვიზიტს ექთანთან, სულ მცირე, კვირაში 5-ჯერ.

**ინდიკატორის აღწერილობა:**

**მრიცხველი:** სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების რაოდენობა, რომლებიც მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში ასრულებენ DOT ვიზიტს ექთანთან, სულ მცირე, კვირაში 5-ჯერ.

**მნიშვნელი:** მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში სულ მკურნალობაზე მყოფი სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების რაოდენობა.

**მონაცემთა წყარო და შეგროვების მეთოდიკა:**

აღნიშნული მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს სენსიტიური ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების DOT-ის ბარათიდან. სადაც მითითებულია მედიკამენტების სახელწოდება და წამლების მიღების განრიგი. DOT ბარათი ივსება ყველა პაციენტზე, ყოველდღიურად.

**შეგროვების პერიოდულობა:**

აღნიშნული მონაცემები უნდა შეგროვდეს ყოველთვიურად.

### სფერო 3: გვერდითი მოვლენების მართვა

**ინდიკატორი 3.1:** პაციენტების რაოდენობა/%, რომელიც ექიმს მიმართავს დამატებით ვიზიტზე გვერდითი მოვლენების გამო.

#### ინდიკატორის აღწერილობა:

**მრიცხველი:** მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობაზე მყოფი ტუბპაციენტების რაოდენობა, რომელმაც ექიმს მიმართეს დამატებით, გვერდითი მოვლენების გამო.

**მნიშვნელი:** მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში სულ მკურნალობაზე მყოფი ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების რაოდენობა.

***შენიშვნა:** საექთნო ჩანაწერების არ არსებობის გამო, რთულია ექთნის მიერ გვერდითი მოვლენების გამოვლენის სიხშირის შეფასება. ამდენად, ნავარუდევია, რომ ექიმთან დამატებით ვიზიტზე გვერდითი მოვლენების გამო პაციენტი ხვდება ექთნის ზეპირი მიმართვის საფუძველზე.*

#### მონაცემთა წყარო და შეგროვების მეთოდიკა:

აღნიშნული მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების სამედიცინო ისტორიებიდან, სადაც ექიმის მიერ გაკეთებული იქნება ჩანაწერი გვერდითი მოვლენის არსებობის შესახებ.

#### შეგროვების პერიოდულობა:

აღნიშნული მონაცემები უნდა შეგროვდეს ყოველთვიურად.

## სფერო 4: ნახველის შეგროვება

**ინდიკატორი 4.1:** პაციენტების % რაოდენობა, რომელთაც განმეორებით ჩააბარეს ნახველი ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევისთვის.

### ინდიკატორის აღწერილობა:

**მრიცხველი:** მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში ტუბერკულოზზე საექმო პაციენტთა ის რაოდენობა, რომელთაც ჩააბარეს ნახველი განმეორებით (ნიმუშის არასწორი აღების გამო) ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევისათვის.

**მნიშვნელი:** მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში სულ დიაგნოსტიკის მიზნით გამოკვლეულ ტუბერკულოზზე საექმო პაციენტთა რაოდენობა.

### მონაცემთა წყარო და შეგროვების მეთოდოლოგია:

აღნიშნული მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს ბაქტერიოსკოპიის ლაბორატორიული ჟურნალიდან, სადაც მითითებულია, ნიმუშის აღების მიზანი, დრო და შედეგი. ხოლო იქვე კომენტარებში მითითებულია არასწორად ჩაბარებული მასალის რაოდენობაც.

### შეგროვების პერიოდულობა:

აღნიშნული მონაცემები უნდა შეგროვდეს ყოველთვიურად.

## სფერო 5: კონსულტირება

**ინდიკატორი 5.1:** პაციენტების რაოდენობა %, რომელმაც ექთნისგან მიიღო რჩევა: მკურნალობის დასრულების აუცილებლობის, მონიტორინგის დროს აუცილებელი გამოკვლევების და მედიკამენტების ყველა დოზის მიღების მნიშვნელობის შესახებ.

### ინდიკატორის აღწერილობა:

**მრიცხველი:** მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობაზე მყოფ იმ ტუბპაციენტთა რაოდენობა, რომელთაც ექთნისგან მიიღეს კონსულტაცია.

**მნიშვნელი:** მოცემულ სამედიცინო დაწესებულებაში სულ მკურნალობაზე მყოფ ტუბპაციენტთა რაოდენობა.

**ექთნის კონსულტაციაში** იგულისხმება რომ მედდამ პაციენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა მედიკამენტების ყველა დოზის მიღების, მკურნალობის დასრულებისა და მონიტორინგით განსაზღვრული გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობას.

### მონაცემთა წყარო და შეგროვების მეთოდიკა:

აღნიშნული მონაცემების შეგროვება უნდა მოხდეს პაციენტების ინტერვიუების შედეგად. ამისათვის შემუშავებულ იქნება მარტივი კითხვარი, რომელიც შეეხება კონსულტირების აუცილებელ თემებს. ინდიკატორის გასაზომად შეჯამდება დადებითად გაცემული პასუხების რაოდენობა. აქვე მითითებული იქნება მედდების მიერ პაციენტის კონსულტირებაში დახარჯული დრო.

### შეგროვების პერიოდულობა:

აღნიშნული მონაცემები უნდა შეგროვდეს ყოველთვიურად.